საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 105 (6482) 10 სექტემბერი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

თანადგომა

მიწისძვრით დაზარალებულ რაიონთათვის გარდა სამშენებლო მასალებისა, გამოიყო სურსათი, სხვადასხვა საჭირო ნივთი თუ საქონელი.

ამ დღეებში ქუთაისის საკოორდინაციო საბჭომ ჩვენი რაიონის მოსახლეობისათვის უფასოდ გამოყო 10 ტონა ბრინჯი, 30 კილოგრამი ჩაი, რომელიც გადაეცა ქალაქისა და სოფლის საკრებულოებს 17 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გასაცემად (1 სულზე 2,5 კილოგრამი ბრინჯი, 82 გრამი ჩაი).

შემოტანილია აგრეთვე 1,98 ტონა [illegible] მელსაც მიიღებენ აღრიცხვაზე მყოფი დიაბეტით დაავადებულნი (ერთ სულზე 7 კილოგრამი).

გარდა ამისა, მიღებულია გარკვეული ოდენობით ელსათურები, ბალიში, სანთელი, ხელთათმანი და სპეცშარვლები, რომლებსაც გასცემს პრეფექტურასთან არსებული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებათა საკოორდინაციო შტაბი დაზარალებული ოჯახებისთვის.

მოსავალი—91

სიძნელეებს არ შეუშინდნენ

მიმდინარე წლის ზაფხულში დიდი სიბეჯითე, ერთგულება და გულმოდგინება გამოიჩინეს რაიონის მეაბრეშუმეებმა და აბრეშუმის პარკის სახელმწიფო დაკვეთა 100,4 პროცენტით შესრულეს. პირველი გამოკვებისას რესპუბლიკის მრეწველობას ჩვენი მეაბრეშუმეების მიერ მოწეული 20 ტონა პარკი შეემატა.

მართალია, სახელმწიფო დაკვეთა წარმატებით შესრულდა, მაგრამ რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭია გამოეყვანათ, ასეთ რთულ პირობებში მეორე მოსავლის შიღება რაიაბრეშუმის სპეციალისტთა ჯგუფმა და რაიონის სოფლების თითო-ოროლა მეაბრეშუმემ იტვირთა.

ახლახან მოწეული მოსავალი ჩაბარდა მიმღებ პუნქტებს. ალპანის მიმღებ პუნქტს 414 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩაბარდა, ცაგერისას—395 კილოგრამი, ასე რომ, სულ რაიონში 809 კილოგრამი მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკი მოწეულ.

ცაგერის პარკსაშრობთან შექმნილმა რგოლმა 140 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მოიწია.

სიძნელეებს არ შეუშინდნენ და პირველი მოსავალიც ბარაქიანად მოიწიეს და მეორე მოსავლის მიღებაშიც იაქტიურეს ქვედაცაგერელმა ნათელა საღინაძემ, ლასურიაშელმა მეაბრეშუმეებმა ვენერა ონიანმა, ვენერა ჩიქოვანმა და ბევრმა სხვამ.

ილებენ თესლოვან ხილს

თითოეული ჩვენგანისათვის, ყველა შრომითი კოლექტივისა თუ ყველა ქართველისათვის ამაღელვებელია დღეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური დაძაბულობა. ყოველივე ამას, ჯანსაღად უყურებენ ცაგერის სასურსათო კომბინატის მშრომელები და იბრძვიან, რათა ყოველი დღე ნაყოფიერი შრომით აღნიშნონ.

ამჟამად აქ თესლოვანი ხილის მიღება-გადამუშავება მიმდინარეობს. საფინანსო გეგმით 1800 ტონა თესლოვანი ხილი უნდა მიიღონ. სულ რამდენიმე კვირაა, რაც ვაშლის მიღება მიმდინარეობს და 270 ტონაა მიღებული.

უკანასკნელი ორი წელია, რაც კომბინატის დამღით გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი გაიზარდა. წელს უკვე მეორედ ამზადებენ კენკროვანი მცენარეების—მაყვლისა და მოცვის მურაბებს. გასულ წელს აქ დაამზადეს და რეალიზაცია უყვეს 3300 პირობით ქილა მაყვლისა და 7600 პირობით ქილა მოცვის მურაბებს.

წელს კი დამზადებული აქვთ 4200 პირობითი ქილა მაყვლის და 10000 პირობითი ქილა მოცვის მურაბა.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ წელს მომხმარებელი მეორედ მიიღებს ცაგერის სასურსათო კომბინატის მიერ დამზადებულ ქლიავის კომპოტს.

რთველიც მალე გაჩაღდება

გულითადი შემოდგომაა. ამინდებიც კარგია—მშრალი, მზიანი. ახლა სოფლის მშრომელებს ღამითაც არ სძინავთ, რათა უდანაკარგოდ აიღონ წლევანდელი მოსავალი.

სოფელია საქართველოს ძარღვი და სიძლიერე. ეკონომიკური ბლოკადის დღევანდელ პირობებში ქართველ გლეხკაცს არ ეშლება, რომ ისე გაისარჯოს, ოჯახის მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილოს და ნამეტი პროდუქტები სახელმწიფოს მიყიდოს ან ბაზარზე გაიტანოს. ამიტომ ცდილობს საიმედოდ დაებინაოს არც თუ ბარაქიანი მოსავალი, რომელსაც თავისი დაღი დაასვა ზაფხულ-შემოდგომის გვალვებმა.

ცაგერის კოლმეურნეობაშიც შედარებით ადრე შემოვიდა მოსავალი. მშრომელები სიმინდის მოსავლის დაბინავებას შეუდგნენ, პარალელურად იღებენ ლობიოს, ჩალას. გრიშა შკუბულიანმა, ოთარ ლიპარტელიანმა, ბუჭუ ახვლედიანმა, ბუჭუ ლიპარტელიანმა, ჯუმბერ გოგიძემ, დავით კოპალიანმა და სხვებმა უკვე აიღეს სიმინდის მოსავალი.

რამდენიმე დღეც და რთველი გაჩაღდება სოფლად. ყურძნის მოსავალს აქაური მშრომელები ღვინის საწარმოში მიიტანენ და თავიანთ წვლილს შეიტანენ სახელმწიფო დაკვეთის შესრულებაში.

დღეს ყველა უნდა გავისარჯოთ ისე როგორც არასდროს. საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა მხოლოდ მიწისა და შრომის ერთგულებას, სიყვარულს შეუძლია.

საკრებულოს ანგარიშზე 12 ათასი მანეთია

სოფლის მცხოვრებთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, სოფლად სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის მიზნით აგრომრეწვბანკში რაიონის რამდენიმე საკრებულოს ანგარიში გაიხსნა.

ლუხვანოს საკრებულოში (გამგებელი გ. კოპალიანი) ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებაა ჩაფიქრებული, რასაც აგრომრეწვბანკში გახსნილი საკრებულოს ანგარიშზე (№ 70047) შემოსული შემოწირულობანი მოხმარდება.

ბევრმა გამოთქვა სურვილი და პრაქტიკული დახმარებაც გაუწია საკრებულოს. დეპუტატები, სოფლის აქტივი კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ სოფელში გაზრდილ-დაბადებული და ამჟამად თბილისში მცხოვრები კაკო ლეთოდიანის მიმართ, რომელმაც მშობლიური სოფლის საკრებულოს ანგარიშზე ამას წინათ 10 ათასი მანეთი გადმორიცხა.

ამჟამად სოფლის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს გარეული ხილის შეგროვებაზე, რომლის რეალიზაციით საკრებულოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხა კიდევ გაიზრდება. ახლა კი ლუხვანოს საკრებულოს ანგარიშზე 12 ათასი მანეთია.

მეცხოველეობა: სიტყვას საქმე არ მოკყვა

მეცხოველეობაში იჯარა, შრომის ორგანიზაციის ახლებური ფორმა, ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდის ხელსაყრელი გზაა, და წლობით ნაზარდ-ნალოლიავები პირუტყვი კოლმეურნეებზე სრულიად უსასყიდლოდ გაიცა.

ასე მოხდა ლასურიაშის კოლმეურნეობაშიც. თუმცა ამაზე, უმჯობესია, ფერმის გამგეს ზოთა ჰაბუკიანს მოვუსმინოთ —სამი წელია, რაც კოლმეურნეობიდან 382 სული მსხვილფეხა პირუტყვი გაიცა. ვინც რამდენი მოისურვა იმდენი წაიყვანა იჯარული წესით, ოჯახურ პირობებში მოსავლელად. აქედან 18 სული—უშობელი, რომლებიც უკვე ფურებია. ამათგან ნამატიც არის მიღებული და პროდუქტიც. ასე გვწამდა, გლეხი თავისად რომ მიიჩნევდა პირუტყვს კარგადაც მოუვლიდა და პროდუქციის სიუხვეც იქნებოდა, რა თქმა უნდა, თავსაც არგებდა და ქვეყანასაც გამოადგებოდა. მაგრამ დაპირება შეუსრულებელია. პირობა მოსახლეობისა, რომელსაც საიჯარო ხელშეკრულების თანახმად ყოველ წელს განსაზღვრული რაოდენობის ხორცი და რძე ქვეყნისათვის უნდა მიეყიდა, ქაღალდზე დარჩა. ისე დაეპატრონენ პირუტყვს, ამ პროდუქტებზე სამართლიანი მოთხოვნაც ვეღარავინ გაუბედათ.

ძალმომრეობა გამეფდა, განუკითხაობა და ქაოსია. ბაზარზე ერთი კილოგრამი ხორცი თუ ყველი 20-25 მანეთია, კოოპერატიული მაღაზიების თაროები კი ცარიელია. განა გარდაქმნამ ის გვიკარნახა, რომ საზოგადოებრივი დოვლათი ჰაიჰარად დარიგებულიყო და ქვეყანას არაფერი შემატებოდა? ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი უპასუხისმგებლობა, თვითდინებაზე მიშვებული საქმე არცერთ დროს არ მახსოვს.

ახლა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას 20 სული პირუტყვიღა „შემორჩა", აქედან 15 ფურია. მიმდინარე წელს, ამ ურთულესი ეკონომიკური კრიზისის დროს ქვეყანას მხოლოდ 800 კილოგრამი ყველი და 1,5 ტონა ხორცი მივყიდეთ. ისე წავიდა ჩვენი საქმე 20 სული პირუტყვის გამოზამთრებისათვის სათიბიც არ გაგვაჩნია. თვითნებურად, ვისაც რამდენი უნდოდა დაეპატრონა სათიბ-საძოვარს, აქაოდა მოიჯარე მეცხოველეები ვართო და ამზადებენ რა საკვებს, მთლიანად ოჯახებში მიაქვთ.

ახლა საკვების დამზადების ამ გადამწყვეტ დღეებში, როცა გვალვიანმა ზაფხულმა რამდენადმე შეაფერხა ბალახის ზრდა-განვითარება, იმ 20 სული პირუტყვის გამოზამთრებაც ეჭვს ქვეშაა, რომელიც კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაშია, ალბათ, ასეთი სიძნელეები სხვაგანაც არის და ამას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

* * *

ვფიქრობთ ყურადსაღები ფაქტია, ჩვენი სოფლების საკრებულოებმა, დეპუტატებმა მეტი უნდა იაქტიურონ, უფრო გულშემატკივრულად იფიქრონ იმ საკითხებზე, რასაც მეცხოველეობის განვითარება, სასურსათო პროდუქტების დამზადება და გამოზამთრება ჰქვია და არავის მისცენ უფლება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა.

ბ. ბაქრაძე

ᲢᲐᲜᲯᲕᲐᲗᲐ ᲢᲘᲢᲐᲜᲘ

1989 წლის 13 ოქტომბერი. 2 წელი გავიდა ამ შემზარავ, შავი დღიდან, დღიდან, რომელმაც უწყალოდ, შეუბრალებლად წაიღო ქართველთა ტანჯული შვილის მერაბ კოსტავას სიცოცხლე. ჩვენს დამდაბლებულ, დაბრმავებულ, ადამიანის უარმყოფელ დროში მერაბ კოსტავას ცხოვრება იყო ის საოცარი შუქი, რომელმაც მთელი საქართველო გაანათლა. ამ სახელმა შეიძინა ისეთივე ელერადობა, როგორიც ოტნე დადიანის, ქეთევან წამებულის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელებს აქვს ქართველისათვის. ეროვნული გმირი, კაცი, რომლის სიცოცხლე ჩაუქრობელ ლამპრად ენთო დამონებული სამშობლოსათვის და რომლის სიკვდილმაც ბევრი სიავე მიაყენა საქართველოს განთავისუფლებისათვის დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას. გასული 2 წლის განმავლობაში დატრიალებულმა მოვლენებმა და მით უფრო, თავისუფლების გზაზე მდგარ ქვეყანაში დღეს არსებულმა ვითარებამ ცხადი გახადა, რომ მერაბ კოსტავას სიკვდილი არ იყო განგების ბრმა განჩინების შედეგი— ესაა კაცის ცივი, ანგარიშიანი გონების ნაყოფი. მომავალი გვიჩვენებს, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ ამ მკვლელობის მიზანი კი დღესავით ნათელია— ქართული ეროვნული მოძრაობის დაშლა, დაქუცმაცება, მამულიშვილთა დათითოკაცება, შინაომისა და შუღლის გაჩაღება და საბოლოოდ, თვით ქართველთაგანვე გაცხადება თავისუფლებაზე უარის თქმის. ამ კაცმა თუ სატანამ, კარგად იცოდა, ვის შეეძლო ქართული ეროვნული სულის გამთლიანება, ვის წაუვებოდა სრულიად ერი, ვის სინდისსა და პატიოსნებას ენდობოდა ბოლომდე თავისუფლებამოწყურებული ქართველი, იცოდა, რომ მერაბ კოსტავასთვის მთავარი ეროვნულ ძალთა ერთიანობა და ამ ერთიანობით საქართველოს თავისუფლების მიღწევა იყო, რომ მას ერთნაირად ენდობოდა ქართული ეროვნული მოძრაობის ყველა ფრთა. ამიტომ მერაბის სიკვდილი ლახვარი იყო განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის და ეს დაწყლულებული ჭრილობა ახლა უფრო საშიშია საქართველოს წამებული სხეულისთვის. მერაბ კოსტავა რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს საქართველოში ეს საშინელება არ დატრიალდებოდა, ქართველი არ ჩაიდენდა საზარელ საქმეს, მთელ მსოფლიოში რომ გაუტეხა სახელი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყანას. ვაი, რომ ამასაც მოვესწრით, ვაი, რომ ქართველმა ქართველზე აღმართა ხელი ერის სახელით, დაიღვარა სისხლი, რომელიც არავითარ შემთხვევაში ვერ გაგვინათებს გზას, პირიქით, ეს სისხლი წუველად და შეკვნესვა აღეკვლინება ჩვენ, როგორც საუკუნე ... სინდისსა.

2 წელი გავიდა, მაგრამ დღეს უფრო ვგრძნობთ ამ დანაკლისს, დღეს უფრო მძიმეა ჩვენთვის მერაბის წასვლა ამ ქვეყნიდან, დღეს გვმართებს გლოვა და ტირილი ტანჯული გმირის დაკარგვის გამო. და დღეს გვმართებს ამაღლება, სულისა—მერაბის სულამდე, ზნეობისა—მერაბის ზნეობამდე, სიყვარულისა— სამშობლოსადმი მერაბ კოსტავას სიყვარულამდე. ახლა გვმართებს ამაღლება, მერე კი გვიანღა იქნება ტანჯვა ტიტანის სულის გამოხმობა, ძმებო!

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ თავისი საზღვარი აქვს. ჩვენც გვაქვს, ჩვენი ფუნის ხალხსაც გვაქვს ჩვენი სათქმელი. რა ეშმაკის სული, რა სატანა შეგიჩნდათ, ოფიციალური ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს. განათლება მიგიღიათ, თითქოს არაფერი გეშლებათ, არ გესწავლებათ და ამ დროს რა გამოუსწორებელ შეცდომებს ჩადიხართ, საქართველო უფსკრულთან მიგიყავთ, გვესმის, ვხედავთ შეცდომებს, მაგრამ ვერ ვხედავთ გამოსწორების გზებს, გზას ხსნისას, საქართველოს გადარჩენისას, ურთიერთლანძღვითა და იარაღის შიშით არ ეშველება საქართველოს.

დავფიქრდეთ, რომ სასაცილოები არ გავხდეთ მსოფლიოს თვალში, არ დავკარგოთ სისხლით მოტანილი თავისუფლების ბოლომდე აღიარების შანსი.

დღეს ერთია გამოსავალი—დავსხდეთ ერთად მაგიდასთან, დავივიწყოთ ყოველგვარი პირადული, გულწრფელად და საღად ვიმსჯელოთ, ვთქვათ სიმართლე. რა ცოდვები გვადევს, რა ბრალს ვდებთ ურთიერთს, მერე დავსახოთ ოპტიმალური გზა საქართველოს ხსნისა, მივუტევოთ ერთმანეთს და შევრიგდეთ, ჩვენვე მოვაროთ ჩვენს გაფუჭებულ საქმეს, არ გვჭირდება ჩვენს შინაურ საქმეებში სხვა ერის ჩარევა.

არც ის მიმაჩნია სწორად, როცა რადიო ტელევიზიაში ცალსახა გადაცემებია, სპარბობს ემოციები, ან ერთ მხარეს ვაქებთ ან მეორეს, ან პირიქით—ვლანძღავთ. დღეს მხოლოდ ერთი სანუკვარი ფიქრი უნდა გვამოძრავებდეს— საქართველო.

მე ერთი რიგითი ქართველი, თავს ნებას მივცემ შეგკადროთ ერისკაცებო გონს მოვეგოთ, გადავარჩინოთ საქართველო! ჩვენ, პედაგოგებს, დედებს მშვიდობა გვინდა საქართველოსთვის, შვილებისთვის, შომავლისთვის.

ᲛᲖᲘᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ,
განათლების განყოფილების მეთოდისტი.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ დავირაზმეთ ეროვნული მოძრაობის გარშემო, ყოველი ქართველის სურვილია თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო, მაგრამ რა თავში ვიხლით თავისუფლებას, თუ ერთმანეთი დავხოცეთ.

პირდაპირ ვერ მიმიცია ახსნა მიმდინარე მოვლენებისთვის.

ბოლოსდაბოლოს ხელისუფლებამ, დეპუტატებმა, ოპოზიციამ უნდა იცოდნენ, რომ ყური მიგდონ ერს, მის გულისთქმას, ასეულობით ადამიანს, რომლებიც ერის იდეალებისადმი ერთგულებით და ერის საკეთილდღეოდ მრავალწლიანი თავდადებული მუშაობით არ ჩამორჩებიან ახლანდელი პარლამენტის უმრავლესობას თუ არა, მის მრავალ წევრს მაინც. ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერის პოზიცია, რომელიც დღემუდამ მოგვიწოდებს—შეწყდეს სისხლისღვრა, როგორ შეიძლება ქართველი ქართველს კლავდეს, განა ეს არის დემოკრატია, რომ უდანაშაულო ბიჭები სიცოცხლეს გამოვასალმეთ?

კმარა! ქართველი ერი და ყოველი ახალი დღე საქართველოში, ახალი სანერვიულოთი თენდება, ყოველდღე იღვრება სისხლი ქართველისა ქართველისაგან. დაუსრულებელმა დრამატულმა ამბებმა ფსიქოზში ჩაგვაგდო ადამიანები.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ღმერთი შეგრისხავთ, არ გაპატიებთ ძმათა სისხლისღვრას, ამის შემდეგ საქართველოში არც ქართველის და არც არაქართველის სისხლი არ უნდა დაიღვაროს.

დროა ყველამ თავის სულში ჩაიხედოს, თავისი შეცდომები აღიაროს, თავისი ცოდვები მოინანიოს და ერისა და საქართველოს სასიკეთოდ გამართონ დიალოგი. ბოლოსდაბოლოს გვაღირსეთ მშვიდობა და სიწყნარე, გაგვითენეთ დღე ისეთი, რომ იარაღის არ გვეშინოდეს.

მერაბ კოსტავა, სულნათელი მერაბი გადმოგყურებთ, მისი სული არ გაპატიებთ გათიშულობას, სიძულვილს, მტრობას.

დღეს საქართველოს შველა უნდა ქართველნო!

Გ. ᲛᲣᲨᲐᲣᲓᲘᲐᲜᲘ.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ

„დამოუკიდებელი ქვეყნის ენერგეტიკის განვითარება შეუძლებელია დამოუკიდებელი ენერგეტიკული ბაზის შეუქმნელად, საქართველოს ენერგეტიკოსები შეუდგნენ მის ფორმირებას“,—განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრმა ᲑᲝᲘᲒᲝᲚ ᲒᲝᲒᲐᲕᲐᲛ.

—ენერგეტიკას მთავარი როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობის განვითარებაში,—თქვა მან შემდეგ.—მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო რესპუბლიკაში ამჟამად ელექტროენერგიის არსებითი დეფიციტია. მათ შორის არის რუსეთის სფს რესპუბლიკიდან მისი მოწოდების მოცულობათა შემცირება, მთელი რიგი დიდი ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე უარის თქმა. არადა, ცენტრის მხრიდან ბლოკადა ხომ შეიძლება კიდევ უფრო გამკაცრდეს მას შემდეგ, რაც საქართველო ხელს არ მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. წინ კი არის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, როცა თითოეული ცალკეული საწარმოს ენერგოშეიარაღებაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული, რამდენად წარმატებით შეძლებს იგი ფუნქციონირებას.

—თქვენ რას გვთავაზობთ?

—დამოუკიდებელი ენერგოსისტემის ფორმირების იდეა უცებ, დღეს არ გაჩენილა. საქართველოს ენერგეტიკის არსებობის მთელი ისტორიის ანალიზმა მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ უნდა შეიქმნას თვითბალანსირებადი ენერგოსისტემა.

რა გზით შეიძლება მივაღწიოთ ამას? მოდით ვიფიქროთ. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ჰიდრორესურსების გამოყენების პროცენტი 80-ს აღწევს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12-15 პროცენტს შეადგენს. კანონებით მდიდარი ნორვეგია, მაგალითად, რომელსაც არ ეშინია ეკოლოგიური კატასტროფებისა, ამ ხეობებს აქცევს წყალსაცავებად და მათს ბაზაზე აგებს ჰიდროელექტროსადგურებს. ასე რომ, საქმე ალბათ ის კი არ არის, თუ რა ვაშენოთ, არამედ ის, თუ როგორ ვაშენოთ. აი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ რესურსები.

—და მაინც, ეს მომავლის საქმეა. კონკრეტულად რა კეთდება უკვე დღეს საკუთარი მძლავრი ენერგობაზის შესაქმნელად?

—ამჟამად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს შედარებით ძლიერი ჰიდროელექტროსადგურების—ხრამის, რიონის, ლაჯანურისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. გარდა ამისა, არის განვითარებული თბოენერგეტიკაც. საქართველოში უდიდესი თბოელექტროსადგური—თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური იძლევა გამომუშავებული ელექტროენერგიის მთელი მოცულობის დაახლოებით 40 პროცენტს. გაფართოება და რეკონსტრუქცია საშუალებას მოგვცემს 1994 წლისათვის კიდევ უფრო გავზარდოთ მისი სიმძლავრე. 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი ენერგობლოკი მწყობრში ჩადგა წლეულს. ხოლო რეკონსტრუქციის სრული დამთავრების შემდეგ სადგური შეძლებს მოგვცეს უკვე გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო მოცულობის 80 პროცენტი. მისი ასეთი მატების მნიშვნელობა სამ-ოთხი წლის შემდეგ, როცა საქართველოს მოთხოვნილებანი მკვეთრად გაიზრდება, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო.

—როგორ განვითარდება მცირე ენერგეტიკა?

—მცირე ენერგეტიკის განვითარების პროგრამა ახლახანს განიხილა საქართველოს მთავრობამ ავსტრიელ სპეციალისტებთან ერთად. დაგეგმილია შეიქმნას ერთობლივი წარმოება. ხოლო საერთო პროგრამის რეალიზაცია დაგეხმარება რამდენჯერმე გავზარდოთ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება. მცირე ჰიდროელექტროსადგურები ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაჭრიან რესპუბლიკის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გლობალურ პრობლემას.

—ცოტა არ იყოს პესიმისტურად ჟღერს.. მაინც კონკრეტულად როდის შეიძლება მოველოდეთ საქართველოს ერთიანი დამოუკიდებელი ენერგოსისტემის შექმნას?

—ვფიქრობ, რამდენიმე წლის შემდეგ. სამუშაოთა მოცულობანი, რომლებიც **უნდა** შეასრულოთ, ასმილ**იონობით** მანეთს ითვალისწინებს. მაგრამ ჩვენ თავი **უნდა გავართვათ** საქმეს, სხვა **გამოსავალი** არ არის.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠᲗᲘ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩვენი ორი შვილი სწავლობდა.

კმაყოფილი ვართ ამ სასწავლებლის დირექტორის და პედაგოგიური კოლექტივისა, რადგანაც ჩვენს შვილებს ნამდვილად უყვარდათ სასწავლებელი, მასწავლებლები და სწავლა, რაც მთავარია.

და რომ გულმოდგინედ ასწავლიდნენ ესეც იქედან ჩანს, რომ ორივემ შეძლო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

მადლობა სასწავლებლის დირექციას და პედაგოგიურ კოლექტივს.

ვუსურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲔᲑᲘ.

ეს ჩვენი ისტორიაა

გენიალური მგოსნის იუბილე

ლეჩხუმის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თავად იასონ გელოვანის გამოსვლა აკაკის იუბილეზე

1908 წლის ზამთრის დასაწყისში საქართველომ, ამიერკავკასიის ხალხთა ოჯახთან ერთად ხელიხელ გადახვეულმა, თბილისში გადაიხადა აკაკის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის გრანდიოზული რესპუბლიკური იუბილე. რეგიონებს შორის გამართულ ამ ეროვნულ პომპეზურ ბუმში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პერიფერიებიდან მოწვეული სხვადასხვა სარწმუნოების, პროფესიისა და ტალანტის მქონე დეპუტაციები. მათ ჩამოიტანეს ბრწყინვალედ დაწერილი საიუბილეო ადრესები და მილოცვა-მისალმებები, რომლებიც წაუკითხეს მგოსანს. მათ გამოსვლებში აკაკის დამსახურების შეფასების კულმინაციური ეროვნული კრიტერიუმი გაცოცხლინდა და სანუკვარი ოცნება, რომ აკაკისთანა ფენომენის მქონე ტალანტები კვლავ აღეზარდოს დედა საქართველოს.

უნიკალური ისტორიული დოკუმენტები მაშინ ეროვნულ არქივოსაცავებში დაბინავეს და 83 წლის მანძილზე დუმდნენ. ახლა კი ყოველ მათგანს ნება ეძლევა გაესაუბროს მკითხველს.

ზოთა ბარამიძე.

საქართველოს რესპუბლიკის აგრარული უნივერსიტეტის ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მგოსანო!

ლეჩხუმის მაზრა მოგესალმება და გილოცავს ორმოცდაათი წლით დაგვიგვიანებულ მოღვაწეობას სამშობლოს სამსახურში. ბედნიერი ხარ სულმნათო და ჩვენც ბედნიერნი ვართ, რომ ვდღესასწაულობთ ამ დიად დღეს. შენ სიცოცხლეშივე გედგმის შენი ღვაწლით და ნიჭით დამსახურებული გვირგვინი, მაშინ, როდესაც დიდებული შენი წინაპარის და მასწავლებლის შოთასი საფლავიც კი არ ვიცით სად არის.

მეორე სულმნათი, სამშობლოს ჭირისუფალი ბარათაშვილი, ულმობელი ბედისგან სიჭაბუკეში წართმეული დიდი ხნის შემდეგ გარდაცვალებისა, ძლივს მოვძებნეთ და მისი წმინდა ნეშთი მივაბარეთ სამშობლო მიწას.

მესამე მგოსანი, შენი თანამედროვე, რომელთან ერთად ტოლ ვარსკვლავად გამოჩნდით ჩვენი ერის სანუგეშოდ, გადაგვარების შავ დროს—ჩვენი დიდება ილია, ჩვენდა სასირცხვოდ, მტარვალურად მოკვალით.

ვიმეორებ: შენ ბედნიერი ხარ! მშობელი ერი მთელი საქართველოსი, დღესასწაულობს შენს ბედნიერ დღეებს. შენი ცოცხალი და მკაფიო ენა, შენი ჩანგის კვნესა, მაგ აღგზნებული გულის ზღვის სადარი ღელვა უფრო ხვდება, უფრო ახლოა ჩვენი მთის მხარის მკვიდრთა გულთან. შენგან დადგმული ტაძარი ჭეშმარიტად ხელთუქმნელია.

შენი სიმების ჩაკვნესა
და ბრძნული იგავ-არაკი
მთას მთაზე ახლის, კლდეს
კლდეზე
გაიძახიან აკაკი.

ერთი ქართული გვარის შესახებ

გვარი ქართველებისათვის ეროვნულობის დამადასტურებელი ატრიბუტი იყო ყოველთვის. მაგრამ მთელი ისტორიული განვითარების მანძილზე ბევრი იყო ქართველი კაცის გადაგვარების პირობა, რაც გარკვეულ წილად გვარის გამოცვლაში ან მის გადასხვაფერებაშიც აისახებოდა.

წინაპრებისაგან იცოდა თავისი ქართული წარმომავლობა ლენტეხის რაიონის მკვიდრმა მურმან პეტროსოვის მამამ, მან გარდაცვალებამდე ვერ შეძლო თავისი გვარის წარმომავლობის გარკვევა, მამის დაწყებული საქმის გაგრძელება შვილმა ითავა. მან ამ საკითხზე შეკითხვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს გ. მელიქიშვილის, სწავლული მდივნის თ. თოდრიას და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის რ. თოფჩიშვილის ხელმოწერით მას აცნობეს, რომ გვარი პეტროსოვი წარმოშობით არის ლეჩხუმიდან („ლაილაში"). გვარი ნაწარმოებია რუსული ფორმანტით და მისი მატარებლნი მოკუთვნებული არიან სომხური ეროვნებისადმი, მაგრამ როგორც საისტორიო საბუთებია დადასტურებული, რაფიული მასალებით ირკვევა, პეტროსოვები წარმოშობით ქართველები არიან ქართველები და მათი ადრინდელი გვარი იყო პეტრიაშვილი. პეტრიაშვილების სომხებად და პეტროსოვებად ჩაწერა მოხდა კონფესიური მომენტის გამო. ცნობილია, რომ საქართველოში ქართველთა შორის ისტორიული ბედუკულმართობის გამო გავრცელდა სხვადასხვა რელიგია. არამართლმადიდებელ ქართველებს ქართველებად აღარ თვლიდნენ, რადგან ოდითგანვე ეროვნება და სარწმუნოება გაიგივებული იყო ერთმანეთთან. გრიგორიანული (მონოფიზიტური) რწმენის ქართველებს კი სომხებს უწოდებდნენ, მითუმეტეს რომ ქრისტიანობის ამ შტოს რელიგია სომეხთა ეროვნული სარწმუნოება იყო. მე-19 საუკუნეში ცარიზმის დროს გრიგორიანულ ქართველებს სომხური ეროვნება ოფიციალურად დაუკანონეს. გაგრიგორიანებულ-გასომხებულთა შორის აღმოჩნდა ლაილაშელი პეტრიაშვილების ქართული გვარი, რომლებიც სომხურმა ეკლესიამ პეტრიაშვილებად (მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პეტროსოვებად) და სომხებად ჩაწერა. პეტრიაშვილებს სომხურ გრიგორიანული სარწმუნოება მეცხრამეტე საუკუნის 30-ან წლებში მიუღიათ.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ძვირფასო მკითხველო!

გაძვირდა პერიოდული პრესა, რაც თქვენზე ნაკლებ არც ჩვენ გვაღელვებს. არც ჩანს საიმედო პროგნოზი გაიაფების, უარესი ისაა, რომ ამ ძვირადღირებულ ჟურნალ-გაზეთებსაც ვერ ვღებულობთ წესისამებრ ქაღალდის დეფიციტის გამო.

მაგრამ ერთი რამ, თქვენთვის, და ალბათ, განსაკუთრებით ქალებისათვის საყვარელი ჟურნალი „საქართველოს ქალი" გამოდის რეგულარულად, შეუფერხებლად.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ იგი მკითხველისთვის უფრო საინტერესო გახდა, ქმედითი, მრავალჟანრობრივი, დამხმარე—ერთი სიტყვით ერთგული მეგობარი და მრჩეველი.

არის გარანტია იმისა, რომ არც მომავალი წლიდან არ იქნება შეფერხება ჟურნალის მოწოდებაში.

ამიტომ გთხოვთ გამოიწეროთ „საქართველოს ქალი". სარედაქციო კოლეგია კვლავ ბევრ ახალ რუბრიკას, თემას და მიმართულებას გვთავაზობს.

მისი ფასია წლიურად 13 მანეთი.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის, თანადგომისთვის.

ცაგერის ქალთა რაიონული საბჭო.



თინა, გივი, იამზე ბურჯალიანებს

გილოცავთ მალხაზისა და ირმას ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე და სიყვარული დაბედებოდეთ.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.

გოგუცა, ქეთინო, მამუკა, ზოთა ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის და დისშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.

მერი და გივი მურცხვალაძეებს

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. ვუსურვებთ ლაღ და ბედნიერ ბავშვობას.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.

ქეთინო გივის ასულ მურცხვალაძეს
გორის აფთიონის ძე გოგიძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შეძენა და სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები

თამარ გერუჩაშვილს

გილოცავთ ხათუნას სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას.

რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები.

მთვარისა, გურამ ბურჯალიანებს
სულიკო, გრიშა მეშველიანებს

გილოცავთ მარიკასა და დათოს ბედნიერებას. გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

ლაშა ბურჯალიანი, ბახვა კოპალიანი ოჯახებით.

ვერიკო მეშველიანს
თემურ ლორთქიფანიძეს
დოდო, გივი ლორთქიფანიძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

წიფერჩის კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები.

სოზარ ვალიკოს ძე ბურჯალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ დღეგრძელი.

ნესტან, მაია, ფიქრია ბურჯალიანები.

ქეთინო მურცხვალაძეს
გორის გოგიძეს
ლედი გოგიძეს

გილოცავთ შვილისა და ძმისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები.

იზა გურგენის ასულ მახარობლიძეს
გესიკ გურამის ძე ლომთაძეს
ნელი სამსონის ასულ ასათიანს
გურამ გიორგის ძე ლომთაძეს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. მრავალი და-ძმა შემატებოდეს.

შოთა გოდოლაძე, ზაზა ჩაკვეტაძე, რობერტ, ნონა, ნარგიზა ასათიანები, როზეტა, გულნაზი ქვარიანები, მერი ყურაშვილი, ცირა გაბიძაშვილი, სვეტლანა ნემსწვერიძე.

იზა, ილო ჩაკვეტაძეებს
ნინო, ნოდარ ახვლედიანებს
მანანა, გიძინა კირველებს

გილოცავთ ვაჟიანობას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ვაჟკაცები.

ცაგერის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები.

მარიკა გურამის ასულ ბურჯალიანს
დათო გრიშას ძე მეშველიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ორბელის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

ნინო ზოთას ასულ ჩაკვეტაძეს
როგიზონ მიხას ძე ჩანქსელიანს
გოგუცა, ზოთა ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

ვერიკო, თემურ, დოდო, გივი ლორთქიფანიძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ნორა ლარცულიანი, გივი დავითულიანი, ნუნუ გელენიძე, თინა თუთისანი.

მზეჭალა, გრიგოლ და გია ყუბასიძეებს

გილოცავთ შვილიშვილისა და ძმისშვილის შეძენას. ყოფილიყოს ლაღი და ბედნიერი თავისუფალ საქართველოში.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

1991 წლის 16 ოქტომბრიდან პურის საბარათო სისტემაზე დროებით გადასვლასთან დაკავშირებით ქ. ცაგერისა და ქვედა ცაგერის საკრებულოთა ტერიტორიაზე მცხოვრებთ ვთხოვთ ბარათების მისაღებად გამოცხადდნენ შესაბამის საკრებულოებში მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე, თან იქონიონ საბინაო წიგნი.

ქ. ცაგერის და ქვედა ცაგერის საკრებულოები.

ევგენ იასონის ძე ალავიძე

ომისა და შრომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა კეთილი პიროვნება, პატიოსანი მშრომელი ევგენი იასონის ძე ალავიძე.

დაიბადა საირმეში ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდანვე ჩაება შრომაში, იყო საირმის კოლმეურნეობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. სპეციალობით იყო კალატოზი, მონაწილეობდა ცაგერის ადმინისტრაციული სახლის, სარაიონო კულტურის სახლის და სხვა მშენებლობებში.

როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და მონაწილეობდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ერთ-ერთი უთანასწორო ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შექმნა ოჯახი, აღზარდა პატიოსანი, შრომისმოყვარე შვილები.

დაჯილდოებული იყო გამარჯვების ორდენით და რამდენიმე საბრძოლო მედლით.

ევგენი ალავიძის სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების გულში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

დედა ვენერა, მამა ჯაბო, ბებია კატო, ძმები გია, გოგი, რძლები ციცო, იამზე, ძმისშვილები ქეთინო, ჯაბა, — ეკა, მამიდა ლუარა, დეიდები ლია, ლეილა ხვადაგიანები, ბიძები ბესო, ჯემალ დავითულიანები, რეზო მუშკუდიანი, ზაურ ახვლედიანი, ბიცოლები ლილი, ეუფუნა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

დაკრძალვა 12 ოქტომბერს, შაბათს, ქ. ცაგერში. გამოსვენება სოფ. გვესრდან.

დავით, ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საბავშვო ბაგა-ბალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა ხვადაგიანს შვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

გენო, ბიჭიკო გურგუჩიანები, კაპიტო ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან

იუზა (უზბანი) გრიგოლის ძე გურგუჩიანის

გარდაცვალებაა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ სილაგაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

ენერგოგასაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაურ ახვლედიანს ცოლისდიშვილის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

შურა შკუბულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სერიოჟა ღურწუმალიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იუზა გურგუჩიანი

სოფელ გვესოს ახალგაზრდობა იუწყება

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალებას.

კუკური, კაკო, ნანი ჩარკვიანები, პავლე, გურამ, ჭიჭიკო კოპალიანები, ამირან ჩახულიანი, გია ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალებას

აქვსენტი გოლეთიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა დავითულიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს;

ორბელის კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე გურგუჩიანი.

შვილები მიშა, ზოია, როსტომი, გოგი, ძმა აკაკი, რძლები ნინიჩკა, ცუცია, სვეტა, ეთერი, მანანა, ნუნუ, ნატო, ძმისშვილები ვლასი, ჯამბული, ნელი, სიძეები რომან დოგრაშვილი, ვაჟა ყურაშვილი, ცოლისძმა ბორის ჯიაძე, შვილიშვილები დათო, ინგა, მზეო, ცირა ციხმარი, თამრიკო, ნათია, თეა თათია, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიჭიკო კოლიას ძე ახვლედიანი

დაკრძალვა 12 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. ლასხანაში.

სოფელ უსახელოს საკრებულოს, საექიმო უბნის, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის, კულტდაწესებულებების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო ალავიძეს მამის

ევგენი ალავიძის

გარდაცვალების გამო.

შოთა, კარლო ცვარიანები, უჩა, ბორის გოლეთიანები, გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ვენერა და ჯაბო დავითულიანების ოჯახს შვილის

მამუკას

გარდაცვალების გამო.

სონა ფუტკარაძე, ბორის თუთისანი ოჯახით თანაუგრძნობს ჯაბო და ვენერა დავითულიანებს შვილის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის პროფესიული სახანძრო ნაწილის მუშაკები თანაუგრძნობენ ამავე ნაწილის მუშაკს ჯაბო მაქსიმეს ძე დავითულიანს შვილის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ზაურ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ბახვა კოპალიანი, გელა მამარდაშვილი, ბუჭუ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირმა მარგიევს მამიდის

გუგული მარგიევის

გარდაცვალების გამო.

ამზაირ კიზირია ოჯახით თანაუგრძნობს გურამ ხმელიძეს დეიდის

კონა გოლეთიანის

გარდაცვალების გამო

ნიკო თუთისანი, გრიშა, მიშა სილაგაძეები, როლანდ ლარცულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯაბო დავითულიანს შვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

იური ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანი

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო, გია დავითულიანებს

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

შურა ბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ჯაბო დავითულიანის ოჯახს

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანს

გარდაცვალების გამო.

გელა სილაგაძე, დემურ გულბანი, მიშა უგრეხელიძე, კვაჩუნა ბერიძე, მიშა ბაკურაძე, ზურაბ ქარსელაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვალერი ჩიქოვანი, ჯუმბერ, შალვა, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალებაა.

უახლოესი მეზობლები ბუჭუ, ზინა გურულები, შალვა ყურაშვილი, გურამ ლიპარტელიანი, რუსიკო ომანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის სასურსათო კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლენა, ბიტუ მეშველიანებს ძმისა და მამის

ჯუმბერ გიორგის ძე მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ეთერა გურგუჩიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა დავითულიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობის 1986 წლის კურსდამთავრებულები, კურსის ხელმძღვანელი გიული ხეცურიანი და ოსტატი შარდენ გუგავა იუწყებიან

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალებას.

კოოპერატივ „ლაძგვერის“ კოლექტივი თანაუგრძნობს ბიტუ გიორგის ძე მეშველიანს ძმის

ჯუმბერ გიორგის ძე მეშველიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გივი ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლიანი, მაყვალა ცხვედიანი, თინა თუთისანი, ნუნუ გელენიძე, თამილა ბენდელიანი, ანგელინა ხაბულიანი, ლეილა ბენიძე, ნანა ხეცურიანი, ფოთოლა კოპალიანი, ვიოლა ზურაბიანი, დოდო კიკვიძე, დარეჯან ბაქრაძე, მზია ლარცულიანი, ნათელა ხაბულიანი თანაუგრძნობენ ლილი და ჯემალ დავითულიანებს მაზლიშვილისა და ძმაშვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია და ზაურ ახვლედიანებს

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ბუდუ ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი.

ანზორ კვირკაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ბიტუ მეშველიანს ძმის

ჯუმბერ მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დუდუშა, იზა ბურჯალიანებს ძმისა და ბიძის

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე გურგუჩიანის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა გურგუჩიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოსა და ავტომეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯაბო დავითულიანს შვილის

მამუკას

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა, ზურაბ, ბეკო გურგუჩიანები, ბიძინა ბურჯალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე გურგუჩიანი.

გივი, შოთა, ვალერი ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანი.

ორბელის საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანი

გია ჩარკვიანი, ნორა ლარცულიანი, მეზობლები მერაბ, დიტო ბურჯალიანები, გოგი საღინაძე, გერონტი კვენტაძე, მერაბ გურგუჩიანი იუწყებიან

იუზა გურგუჩიანის

გარდაცვალებას.

ინდიკო დავითის ძე ბურჯალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ძმა გრიგოლი, მეუღლე ზოია, შვილები გოგა, ნათია, დები დუდუშა, თინა, გულნაზი, თუთია, სიძეები ინდიკო ბურჯალიანი, გივი გორგასლიძე, ჯაბული გურული, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე გურგუჩიანი.

დაკრძალვა 12 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

უახლოესი მეზობლები ჭიჭიკო, გრიშა, შოთა სვანიძეები, გიზო, სოსო, გოჩა, გია, რობიზონ მეგელები, შალვა, გურამ ბურჯალიანები, მამუკა ნემსწვერიძე, შარდენ გოგუბაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე გურგუჩიანი.

ეორა, ოთარ, გელა სვანიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბიძა შალვა, ბიძაშვილები ეორა, თემურ, ეთერ, ლოლა გურგუჩიანები ოჯახებით იუწყებიან

იუზა გრიგოლის ძე გურგუჩიანის

გარდაცვალებას.

ჯონი ხვადაგიანი, შუქური ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა დავითულიანი

ალიოშა, ბორის თუთისანები ოჯახით თანაუგრძნობენ ჯაბო დავითულიანის ოჯახს შვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები დადაში, ჯიმშერ, გივი, გიული, ჯემალ ხაბულიანები, ბენია, გიმარ თუთისანები, სეით, გიგო ქომეთიანები, მალხაზ ბენიძე, გერონტი კოპალიანი, გუგული ლიპარტელიანი, ანზორ ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯემალ დავითულიანს ძმაშვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.